სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030674204550719

28 / თებერვალი / 2019 წ. **თბილისი #06-54/ო**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018-2022 წლების სტრატეგიის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ , ‘’ჟ’’ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) 2018 - 2022 წლების სტრატეგია (შემდგომში-სტრატეგია) განისაზღვროს თანდართული დანართის სახით.
2. დაევალოთ ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს:
ა) სტრატეგიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, ყოველი წლის 1 დეკემბრამდე, დასამტკიცებლად წარმოადგინონ მომავალი წლის სამოქმედო გეგმა;
ბ) მომდევნო წლის 15 თებერვლამდე, ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრულ სამუშაო ჯგუფს წარუდგინონ წინა წლის სამუშაო ანგარიში, შემდგომი განხილვისა და ცენტრის გენერალურ დირექტორთან წარდგენის მიზნით;
3. დაევალოთ ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეებს ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია საკურატორო სფეროების მიხედვით.
4. ცენტრის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველომ (ნ.ქავთარაძე), უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე - www.ncdc.ge.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018-2022 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის 31 აგვისტოს #06-142/ო ბრძანება.
6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე